

## Express Card

უნივერსალური ბარათით მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია Express Card უნივერსალური ბარათით სარგებლობის პირობები. Express Card უნივერსალური ბარათი წარმოადგენს სადებეტო ბარათს, რომელზეც შესაძლებელია აგრეთვე საკრედიტო ლიმიტის დაშვებაც (შემდგომში - ბარათი).

1. **ტერმინთა განმარტებები**
  - 1.1. **ანგარიში** – ბარათის ერთ ვალუტიანი ანგარიში;
  - 1.2. **არასამუშაო დღე** – შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები;
  - 1.3. **ამონაწერი** – დოკუმენტი, სადაც მითითებულია ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური გადასახადი, მისი გადახდის თარიღი და ინფორმაცია ჩატარებული ოპერაციების შესახებ;
  - 1.4. **ბარათის ბლოკირება** – ბარათით სარგებლობის უფლების დროებით შეჩერება;
  - 1.5. **ბარათის ბლოკირების თარიღი** – ემთხვევა ვადაგადაცილების თარიღს;
  - 1.6. **ბარათის გააქტიურება** – ბარათით სარგებლობის უფლების აღდგენა;
  - 1.7. **გადახდის თარიღი** – თარიღი, რომელი რიცხვის ჩათვლითაც უნდა მოხდეს მინიმალური გადასახადის ან/და გადახარჯული თანხის დაფარვა;
  - 1.8. **გადახდის ოპერაცია** – სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით ჩატარებული ოპერაცია, რომლის დროსაც კლიენტმა შეიძინა ნივთი ან/და მომსახურება;
  - 1.9. **გადახარჯვა** - ანგარიშზე შესაბამისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში თანხის გახარჯვა;
  - 1.10. **განაღების ოპერაცია** – ბანკომატის მეშვეობით ბარათით ჩატარებული განაღების ოპერაცია.;
  - 1.11. **დაანგარიშების თარიღი** – თარიღი, რომელშიც წარმოებს მინიმალური გადასახადის დაანგარიშება;
  - 1.12. **დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმება**– ბანკის ინიციატივით ბარათის მოქმედების შეწყვეტა დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ბანკის მოთხოვნა ათვისებული კრედიტისა და მასზე დარიცხული ყველა გადასახდელის და ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ყველა გადასახდელის დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ;
  - 1.13. **დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმების თარიღი** – გადახდის თარიღიდან 62-ე დღე, თუ ამ თარიღამდე არ მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვა;
  - 1.14. **ვადაგადაცილების თარიღი** – გადახდის თარიღის მომდევნო დღე;
  - 1.15. **ვადაგადაცილებული დავალიანება** – კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული პირობებით გათვალისწინებულ ვადებში;
  - 1.16. **მინიმალური გადასახადი** – ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური თანხა, რომელშიც შედის: საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტისათვის ათვისებული კრედიტის 4 (ოთხი) %, საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტი, საკომისიო თანხის 100 (ასი) %, პირგასამტეხლოს 100 (ასი) % ან/და საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის 100 (ასი) %;
  - 1.17. **ოპერაციის ასახვის დღე** – ამონაწერში ოპერაციის ასახვის დღე;
  - 1.18. **საკრედიტო ლიმიტი** – კრედიტის მოცულობა, რომელიც პერიოდულად ცვალებადია და რომლის ფარგლებშიც კლიენტს უფლება აქვს მოახდინოს თანხის გახარჯვა ბარათის ანგარიშიდან;
  - 1.19. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა** – საკრედიტო ლიმიტის ზევით თანხის გახარჯვა;
  - 1.20. **საჯარიმო პერიოდი** – დროის პერიოდი ვადაგადაცილების თარიღიდან ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვამდე ან/და დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმების თარიღამდე;
  - 1.21. **საშელავათო პერიოდი** – 56 დღემდე (53 დღიდან 56 დღემდე, დამოკიდებულია კონკრეტულ თვეში დღეების რაოდენობაზე). თუ ამონაწერში დაფორმირებული სრული დავალიანება სრულად იქნება დაფარული დაანგარიშების თარიღიდან გადახდის თარიღის ჩათვლით, საშელავათო პერიოდის განმავლობაში, ათვისებულ კრედიტს პროცენტი არ დაერიცხება. საშელავათო პერიოდი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის თარიღი არასამუშაო დღეა, საშელავათო პერიოდით სარგებლობისათვის ათვისებული კრედიტის

დაფარვა უნდა მოხდეს გადახდის თარიღის მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე, არაუგვიანეს 23:30 საათისა.

1.22. **Cashback** – ბარათის მეშვეობით ჩატარებული გადახდის ან/და განაღდებას ოპერაციების მიხედვით დაანგარიშებული თანხა, რომელიც წინამდებარე პირობების შესაბამისად ჩაირიცხება ანგარიშზე.

**2. ბარათის ძირითადი პირობები:**

2.1.	საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა:	უვადო
2.2.	ბარათის მოქმედების ვადა:	4 (ოთხი) წელი
2.3.	ბარათის წლიური საკომისიო:	0 (ნული) ლარი
2.4.	ბარათის ღირებულება:	პირველადი ბარათი - უფასო. ყოველი შემდგომი ან/და დამატებითი ბარათის ღირებულება განისაზღვრება ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად
2.5.	ბარათზე საკრედიტო ლიმიტის დაშვების საკომისიო	15 (თხუთმეტი) ლარი
2.6.	<b>კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:</b>	
2.6.1.	დაიშვება, რომ საკრედიტო ლიმიტის გახარჯვა ხდება ლიმიტის გააქტიურების დღესვე, კლიენტი ახდენს მინიმალური შენატანის განხორციელებას ყოველთვიურად, რომლის შედეგად შეტანილი ძირითადი თანხით ხდება ლიმიტის შევსება, ლიმიტი საბოლოოდ იფარება 12 თვეში	
2.6.1.1.	დაიშვება, რომ კლიენტი ახორციელებს საკრედიტო ლიმიტის განაღდებას (ლარი):	61.60 (სამოცდაერთი მთელი სამოცი მეასედი) %
2.6.1.2.	დაიშვება, რომ მომხმარებელი ახორციელებს საკრედიტო ლიმიტის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვას (ლარი):	53.20 (ორმოცდაცამეტი მთელი ოცი მეასედი) %
2.7.	ფინანსური ხარჯები:	
2.7.1.	ბანკომატიდან განაღდებას საკომისიო	3.9 (სამი მთელი ცხრა მეათედი) %
2.8.	კონვერტაციის საკომისიო	2 (ორი) %
2.9.	<b>წლიური საბაზისო საპროცენტო განაკვეთი:</b>	
2.9.1.	სავაჭრო ობიექტებში გახარჯული თანხებისათვის:	48 (ორმოცდარვა) %
2.9.2.	განაღებული თანხების, სხვა ოპერაციებით ათვისებული კრედიტისა და გადახარჯული კრედიტისათვის:	48 (ორმოცდარვა) %
2.10.	დაანგარიშების თარიღი:	განაცხადში დაფიქსირებული თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ დაანგარიშების თარიღი ემთხვევა თვის ისეთ რიცხვს, რომელიც კონკრეტულ თვეში არ არსებობს, მაშინ დაანგარიშების თარიღი გადაიწვეს ამავე თვის ბოლო სამუშაო დღეზე.
2.11.	გადახდის თარიღი:	დაანგარიშების თარიღის შემდგომ 25-ე დღე. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის თარიღი არასამუშაო

	დღეა, კლიენტი ვალდებულია მინიმალური გადასახადი დაფაროს გადახდის თარიღის მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე, არაუგვიანეს 23:30 საათისა.
2.12. ბარათის მომსახურების ტარიფები:	ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
2.13. პირგასამტეხლო:	
<b>2.13.1. 2017 წლის 15 იანვრამდე დამტკიცებულ საკრედიტო ლიმიტებზე პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესი:</b>	
2.13.1.1. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში:	10.00 (ათი) ერთეული ბარათის ანგარიშის ვალუტაში; ვადაგადაცილებული დავალიანების 1.5 (ერთი მთელი ხუთი მეათედი) % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
2.13.1.2. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისას:	100.00 (ასი) ერთეული ბარათის ანგარიშის ვალუტაში; სრული დავალიანების 5 (ხუთი) %.
2.13.1.3. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისას ყოველი ვადაგადაცილებული დავალიანებისათვის:	წლიური 36 (ოცდათექვსმეტი) %; ვადაგადაცილებული დავალიანების 0.1 (ნული მთელი ერთი მეათედი პროცენტი) %.
<b>2.13.2. 2017 წლის 15 იანვრის შემდეგ დამტკიცებულ საკრედიტო ლიმიტებზე პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესი:</b>	
2.13.2.1. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, 2017 წლის 15 იანვრიდან დამტკიცებულ საკრედიტო ლიმიტებზე:	ვადაგადაცილებულ მინიმალურ გადასახადში შემავალი ძირი თანხის 2.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობისა.
2.14. საბარათო ანგარიშის ტიპი:	ერთ ვალუტიანი ანგარიში
2.15. ანგარიშზე დაშვებული ოპერაციები:	თანხის განაღდება, სავაჭრო ობიექტებში გადახდა, თანხის ჩარიცხვა, თანხის გადარიცხვა და ანგარიშზე თანხის შეტანა.

### 3. ზოგადი პირობები

- 3.1. ბანკი ბარათებს ამზადებინებს კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და PIN-კოდთან ერთად გადასცემს კლიენტებს ოპერაციების საწარმოებლად. ბარათის PIN კოდს ბანკი კლიენტს გადასცემს დალუქულ კონვერტში ან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
- 3.2. ბარათი აღჭურვილია უკონტაქტო გადახდის აპლიკაციით, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს ბარათით ანგარიშსწორება განახორციელოს ბარათის პოს ტერმინალზე ფიზიკური მიდების გზით, აგრეთვე ბარათი გამოიყენოს თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას მგზავრობის საფასურის გადასახდელად.
- 3.3. 3.2 პუნქტით გათვალისწინებული უკონტაქტო გადახდის აპლიკაციით ანგარიშსწორება შესაძლებელია 45 (ორმოცდახუთი) ლარის ფარგლებში, თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
- 3.4. კლიენტი შესაძლებელია სარგებლობდეს მხოლოდ სადებეტო ბარათით, ნულოვანი საკრედიტო ლიმიტით, რა შემთხვევაშიც მასზე არ გავრცელდება საკრედიტო ლიმიტთან დაკავშირებული წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის საშუალება კლიენტს მიეცემა მის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ,

თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ასეთი მომსახურების უპირობოდ გაწევას.

- 3.5. გადახარჯვის შედეგად წარმოშობილი დავალიანების გადახდა უნდა განხორციელდეს დაანგარიშების თარიღიდან მომდევნო 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.
- 3.6. გადახარჯული თანხის 3.5 პუნქტში მითითებული ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი განახორციელებს ბარათის ბლოკირებას. ბარათის გააქტიურება მოხდება დავალიანების სრულად გადახდის მომდევნო დღეს, იმ შემთხვევაში, თუ არ დამდგარა 3.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.
- 3.7. გადახარჯული თანხის გადახდის თარიღიდან 62 (სამოცდაორი) დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათი უქმდება, რისთვისაც კლიენტს ერიცხება პირგასამტეხლო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისათვის. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმება იწვევს პირობებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტას. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისას კლიენტს, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 3.8. კლიენტს ბარათით განხორციელებულ თითოეულ ოპერაციაზე დაერიცხება 10 (ათი) Express ქულა;
- 3.9. Express ქულების დარიცხვა განხორციელდება მხოლოდ შემდეგი ოპერაციების განხორციელებისას:
  - 3.9.1. POS ტერმინალით გადახდა;
  - 3.9.2. ინტერნეტ-გადახდები;
  - 3.9.3. კომუნალური გადახდები (IBank-ით, ExpressOnline-ით, მობილ ბანკით, ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალით, ავტომატური გადახდების სერვისით, ბანკომატით);
  - 3.9.4. მობილურის ბალანსის შევსება (IBank-ით, ExpressOnline-ით, მობილ ბანკით, ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალით, SMS ბანკით, ავტომატური გადახდების სერვისით, ბანკომატით).
- 3.10. Express ქულების გადაცვლა განხორციელდება ბანკის მიერ ცალმხრივად განსაზღვრულ მომსახურებაში/პროდუქტში, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).
- 3.11. ბარათთან დაკავშირებული სხვა ზოგადი პირობები მოცემულია საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge). წინამდებარე პირობებში მოცემულსა და ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულ პირობებს.

#### 4. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის, კრედიტისა და საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის დაფარვის წესი

- 4.1. საკრედიტო ლიმიტის არსებობისას ბარათის ანგარიშზე წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ. ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური გადასახადის დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღის ჩათვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება პირგასამტეხლო.
- 4.2. გადახდის თარიღის ჩათვლით მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მომდევნო ამონაწერში ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური თანხის მოცულობა დაიანგარიშება შემდეგნაირად: განაღდების და გადახდების ოპერაციებით მიმდინარე მომენტისათვის ათვისებულ კრედიტისა და წინა ამონაწერში გამოწერილი ძირითადი თანხის დაუფარავი ნაწილის სხვაობის 4 (ოთხი) %-ს, წინა ამონაწერში გამოწერილი ძირითადი თანხის დაუფარავი ნაწილის 100 (ასი) %-ს, საანგარიშგებო პერიოდში დარიცხულ პროცენტის, ან/და საკომისიო თანხის, ან/და პირგასამტეხლოს ან/და საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის ან/და პირგასამტეხლოს 100 (ასი) %.
- 4.3. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი განახორციელებს ბარათის ბლოკირებას. ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად გადახდის მომდევნო დღეს, იმ შემთხვევაში, თუ არ დამდგარა 4.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.
- 4.4. გადახდის თარიღიდან 62 (სამოცდაორი) დღის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათი უქმდება, რისთვისაც კლიენტს ერიცხება პირგასამტეხლო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისათვის. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმება იწვევს პირობებით განსაზღვრული მომსახურების

შეწყვეტას. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმებისას კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

- 4.5. ბარათის გაუქმების საკომისიოს ჩამოჭრა განხორციელდება საკრედიტო ლიმიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირების ხარჯზე, ხოლო საკრედიტო ლიმიტის არ არსებობის ან ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის არ არსებობის შემთხვევაში ბარათის გადახარჯვის ხარჯზე.
- 4.6. თუ კრედიტზე არ ვრცელდება საშეღვათო პერიოდისათვის გათვალისწინებული პირობები, მაშინ საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამასსამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. ნებისმიერი მიზეზით ბარათით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა გრძელდება დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის გაუქმების შემდეგაც. ვადაგადაცილებული დავალიანება (ძირითადი თანხა, პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო) გადახდას ექვემდებარება სასამართლო აღმასრულებლის მიერ იძულებითი, ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის არსებული დავალიანების ოდენობით.
- 4.7. დავალიანების დაფარვისას, პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო და საკომისიო თანხები (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდეგ გადახარჯული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული პროცენტი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
- 4.8. კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებაზე, ბარათზე გადახდის თარიღის ვადის დაცვებისთანავე კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოწეროს პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება შემდეგი რიგითობით: პირგასამტეხლო, საკომისიო, გადახარჯული თანხა, დარიცხული პროცენტი და კრედიტის ძირითადი თანხა. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომლის მომსახურების ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეწერება კლიენტს ანგარიშიდან, ხოლო კონვერტირებული თანხა გამოყენებული იქნება კლიენტის დავალიანების დასაფარავად. თუ კლიენტის ბანკში გახსნილ ანგარიშებზე დავალიანების დასაფარად საკმარისი თანხა არ აღმოჩნდა, ბანკი უფლებას იტოვებს მოახდინოს დავალიანების თანხის მოცულობით კლიენტის ანგარიშების დაჯავშნა, დავალიანების სრულად დაფარვამდე.
- 4.9. ბანკის მხრიდან წინამდებარე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველანაირი დავალიანება ბანკის მიერ მითითებული თარიღისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი აქტივიდან.

## 5. კონვერტაცია

- 5.1. ეროვნულ ვალუტაში ემიტირებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები, გარდა ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციებისა, დაკონვერტირდება აშშ დოლარში და შემდეგ ეროვნულ ვალუტაში აისახება კლიენტის ანგარიშზე. ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები პირდაპირ აისახება კლიენტის ანგარიშზე.
- 5.2. ამ მუხლში მოცემული კონვერტაცია განხორციელდება კლიენტის ანგარიშზე ოპერაციის ასახვის დღეს, რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს კლიენტის მიერ ოპერაციის განხორციელების დღეს.

## 6. განსაკუთრებული პირობები

- 6.1. წინამდებარე პირობების ბანკის მიერ ცალმხრივად ცვლილების შემთხვევაში (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საპროცენტო სარგებელის, საკომისიოების, პირგასამტეხლოსა და ბარათთან დაკავშირებული სხვა სატარიფო განაკვეთების გაზრდას, თუმცა არ ვრცელდება ბანკის მიერ საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ცვლილების (გაზრდის ან შემცირების) შემთხვევებზე) ბანკი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ მის განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე შემდეგი ფორმით შეატყობინოს კლიენტს: საჯარო გამოცხადების გზით (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება მოიცავდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ან/და სერვის ცენტრებში განცხადებების განთავსებას) ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით ან/და ელექტრონული ფოსტით

შეტყობინებების გაგზავნით ან/და ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომლითაც ბანკი კლიენტს შეატყობინებს ამგვარი ცვლილებების შესახებ. ბანკის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონე, სამომხმარებლო ფასები, სამეწარმეო აქტიურობის ინდექსი, სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები, ასევე კლიენტის საკრედიტო ისტორია.

- 6.2. თუ კლიენტი არ ეთანხმება არსებული პირობების ცვლილებას იგი ვალდებულია განახლებული პირობების ძალაში შესვლის თარიღამდე წერილობით მიმართოს ბანკს ამის შესახებ და სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება.
- 6.3. მესამე პირის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი პასუხს აგებს სრულად.
- 6.4. ბარათის განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობის შემთხვევაში ათვისებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება პირობების შესაბამისად.
- 6.5. ბანკი და კლიენტი დაიცავენ ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, პირობების საფუძველზე კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ მის შესახებ ინფორმაცია დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ ვალთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს. აგრეთვე კლიენტი აძლევს თანხმობას ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ ბანკის მიერ ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსათვის“ ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისათვის მიწოდებული კლიენტის მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ“ ან ნებისმიერმა სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებამ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან. კლიენტი ბანკს აგრეთვე ანიჭებს უპირობო უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის მონაცემები.
- 6.6. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, კლიენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ბანკის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 7.1. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და ცალმხრივად კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე:
  - 7.1.1. მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ;

- 7.1.2. შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადები, იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილებების შედეგად ვადების ცვლილება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით;
- 7.1.3. კლიენტის საბარათე ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია, თუ კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ რომელიმე ანგარიშზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად.
- 7.1.4. შეაჩეროს/გააუქმოს ბარათის მოქმედება ან შეწყვიტოს პირობებით გათვალისწინებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
  - 7.1.4.1. კლიენტი დაარღვევს პირობებს.
  - 7.1.4.2. გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.
  - 7.1.4.3. კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ნებისმიერი სახის ვადაგადაცილებული დავალიანება.
  - 7.1.4.4. კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისაკენ.
- 7.1.5. მოსთხოვოს კლიენტს ბარათის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირავნობის ან/და თავდებობის სახით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კლიენტისათვის დამტკიცებული კრედიტი უზრუნველყოფილია აღნიშნული უზრუნველყოფიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნა გაუქმდება მხოლოდ მას შემდეგ რაც:
  - ა) კლიენტი სრულად და ჯეროვნად დაფარავს შესაბამისი ბარათის ანგარიშზე არსებულ ნებისმიერი სახის ვალდებულებას და ბ) ბარათის ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ბარათის გაუქმებიდან/დახურვიდან გასული იქნება 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე.
- 7.1.6. გააუქმოს ბარათი, თუ კლიენტმა 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული საკრედიტო ლიმიტით;
- 7.1.7. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის ბლოკირება და საკრედიტო ლიმიტის ათვისების უფლების შეჩერება;
- 7.1.8. შეცვალოს პირობები;
- 7.1.9. დაადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთების ოდენობები;
- 7.2. ბანკი ვალდებულია:
  - 7.2.1. დაანგარიშების თარიღის მომდევნო დღიდან კლიენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ყოველთვიური სავალდებულო მინიმალური გადასახადისა და გადახდის თარიღის შესახებ.
- 7.3. კლიენტი უფლებამოსილია:
  - 7.3.1. მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
  - 7.3.2. მოითხოვოს ბარათით მომსახურების შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია მთლიანად დაფაროს ბარათის ანგარიშზე არსებული ყველა დავალიანება.
- 7.4. კლიენტი ვალდებულია:
  - 7.4.1. კრედიტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური სავალდებულო მინიმალური გადასახადის გადახდა ბარათის ამონაწერში მითითებული მინიმალური გადასახადის ოდენობის მიხედვით;
  - 7.4.2. კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
  - 7.4.3. გადახარჯვის შემთხვევაში, სრულად დაფაროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტს ზევით გადახარჯული თანხა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მასზე დარიცხული პროცენტის ჩათვლით.
- 7.5. წერილობით შეატყობინოს ბანკს განაცხადში დაფიქსირებული რომელიმე რეკვიზიტის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს, მობილურის ნომერს და ა.შ.) ცვლილების შესახებ. თუ კლიენტი შეიცვლის განაცხადში მითითებულ რომელიმე საკონტაქტო ინფორმაციას და 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი არ შეატყობინებს ბანკს ახალ რეკვიზიტებს, მაშინ განაცხადში მითითებულ რეკვიზიტზე ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება კლიენტისთვის უპირობოდ ჩაბარებულად.

## **8. Cashback-ის პირობები**

- 8.1. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, ჩაატაროს პერიოდული აქციები, რომლის ფარგლებშიც ბარათით შესრულებულ გადახდის ან/და განაღდებას ოპერაციების მიხედვით დაანგარიშებული Cashback-ი ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშზე;
- 8.2. 8.1 პუნქტით განსაზღვრული აქციების დროს ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს:
  - 8.2.1. აქციის ხანგრძლივობას;
  - 8.2.2. აქციის ფარგლებში დარიცხული cashback-ის ოდენობას;
  - 8.2.3. Cashback-ის დარიცხვის სხვა კრიტერიუმებს;
  - 8.2.4. აქციის სხვა პირობებს.
- 8.3. Cashback-ის მიღების შედეგად წარმოშობილი, კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის გადახდასა და ადმინისტრირებას განახორციელებს ბანკი.
- 8.4. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ანგარიშიდან ჩამოჭრას ჩარიცხული Cashback-ის თანხა ან/და მისი ნაწილი, თუ:
  - 8.4.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა Cashback-ი;
  - 8.4.2. კლიენტმა ბანკში დადგენილი წესით გაასაჩივრა ძირითადი ან დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის ან/და განაღდებას ოპერაცია, რომელზეც მას ჩაერიცხა Cashback-ი;
  - 8.4.3. კლიენტმა (ძირითადი ან დამატებითი ბარათის მფლობელმა დააბრუნა (უარი განაცხადა მიღებაზე) სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბარათით შეძენილი ნივთი/მომსახურება.

## **9. პირობების ძალაში შესვლა და მოქმედება**

- 9.1. პირობები ძალაში შედის შესაბამისი განაცხადის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
- 9.2. კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევო საბანკო დღისა.
- 9.3. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ბანკის სერვის-ცენტრებში (ფილიალებში), ხოლო პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის სერვის-ცენტრებში (ფილიალებში), ასევე ბანკის ვებ-გვერდზე. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით. პრეტენზიაზე პასუხის მიღებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.